



NETHERLANDS
HELSINKI
COMMITTEE

SUPPORTING
CATALYSTS OF CHANGE
FOR JUST SOCIETIES

Partner Contract

პარტნიორის ხელშეკრულება

Introduction

The Netherlands Helsinki Committee is a non-governmental organisation that promotes human rights and strengthens the rule of law and democracy in all countries of Europe, including the Central Asian countries participating in the OSCE.

Description of the project

Sub-granting project "Assessing the accountability, transparency, and effectiveness of the institutions involved in the external oversight of covert surveillance" within the scope of the European Union funded project "Strengthening Monitoring and Advocacy Capacities for Rights in Georgia."

Parties to the Contract

The Netherlands Helsinki Committee, residing at Riviervismarkt 4, 2513 AM The Hague, the Netherlands legally represented by Joeri Buhner Tavanier, hereafter to be referred to as: "the NHC", and

Institute for Development of Freedom of Information (IDFI), residing at Georgia, Tbilisi, Mtatsminda district, Niaghvari street, N 4, apartment 18, legally represented by Giorgi Kldiashvili, hereafter to be referred to as "the Partner",

Jointly referred to as: "Parties",

Considering that:

Parties have agreed that the cooperation between them consists of implementing the activities and results during the project period. This is in accordance with this Partner Contract, the General Contract Terms and Conditions and the Annexes mentioned at the end of the contract.

შესავალი

„ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი“ (NHC) არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებებს და აძლიერებს კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას ევროპის ყველა ქვეყანაში, მათ შორის, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომლებიც ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოები არიან.

პროექტის აღწერა

ქვესაგრანტო პროექტი "ფარულ მიყურადებაზე გარე ზედამხედველობის განხორციელებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის შეფასება" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში.

ხელშეკრულების მხარეები

„ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი“, მდებარე მისამართზე: რივიერვისმარკტ 4, 2513 AM ჰააგა, ნიდერლანდები და წარმოდგენილი თავისი კანონიერი წარმომადგენლის იური ბურნერ ტავანიერი, შემდგომში მოხსენიებული როგორც „NHC“ და

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) .რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ნიაღვრის ქ. N 4, ბინა 18, და რომლის კანონიერი წარმომადგენლია გიორგი კლდიაშვილი, შემდგომში მოხსენიებული, როგორც „პარტნიორი“.

ერთობლივად მოიხსენიება როგორც: „მხარეები“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

მხარეების შეთანხმებით, მათ შორის თანამშრომლობა მოიცავს აქტივობების განხორციელებას და შედეგების მიღწევას საპროექტო პერიოდში, წინამდებარე „პარტნიორის ხელშეკრულების“, „ზოგადი პირობების“ და

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Het Nutshuis
Riviervismarkt 4
2513 AM The Hague
the Netherlands

T +31 (0)70 - 392 6700
E office@nhc.nl
W www.nhc.nl

KVK 41182679
IBAN NL48 INGB 0000 4178 08
BIC (Swift) INGBNL2A

„დანართების“ შესაბამისად, რომლებიც ხელშეკრულების ბოლოს არის მოხსენიებული.

Summary

NHC Project title	Strengthening Monitoring and Advocacy Capacities for Rights in Georgia
NHC project code	HRD-23-02
Name of Partner	Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
Contract duration	01.03.2024 – 31.07.2024
Approved amount in Euro	11,995.20 EUR
Responsible Manager at NHC	Antanina Maslyka, Programme Manager – Human Rights Defence

1. Activities and Results

- 1.1 Outcome(s), outputs and activities under the present contract are described in the Annex A – Terms of Reference (Project Proposal).
- 1.2 Parties are jointly responsible for ensuring the substantive progress of the project and for monitoring the achievement of project results and objectives. For this, the NHC and the Partner have financial and narrative reporting templates and manuals in place to report on the agreed outcomes, outputs, activities and indicators (Annex B and C).
- 1.3 The Partner is obligated to complete the partner-self assessment form (Annex E) prior to the signature of the contract.

Financial management

2. Financial schedule

- 2.1 The total project budget is 11,995.20 EUR. After receiving a signed contract, the NHC will make the advance payment which equals 50% of the total budget.

შეჯამება

NHC-ის პროექტის სახელწოდება	„უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“
NHC-ის პროექტის კოდი	HRD-23-02
პარტნიორის სახელი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
კონტრაქტის ხანგრძლივობა	01.03.2024 – 31.07.2024
დამტკიცებული თანხა ევროში	11,995.20 EUR
NHC-ის პასუხისმგებელი მენეჯერი	ანტანინა მასლიკა, პროგრამის მენეჯერი - ადამიანის უფლებების დაცვა

1. აქტივობები და შედეგები

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო შედეგ(ებ)ი, შუალედური შედეგ(ებ)ი და აქტივობები აღწერილია „ა“ დანართში – „ტექნიკური დავალება“ (საპროექტო წინადადება).
- 1.2 მხარეები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი პროექტის არსებითი პროგრესის უზრუნველყოფაზე, ასევე, პროექტის შედეგების და მიზნების მიღწევის მონიტორინგზე. ამისთვის NHC-ს და „პარტნიორს“ შემუშავებული აქვთ ფინანსური და თხრობითი ანგარიშების შაბლონები და სახელმძღვანელოები, შეთანხმებული საბოლოო და შუალედური შედეგების, აქტივობების და ინდიკატორების თაობაზე ანგარიშების წარსადგენად („ბ“ და „გ“ დანართები).
- 1.3 „პარტნიორი“ ვალდებულია, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე „პარტნიორის თვითშეფასების ფორმა“ შეავსოს („ე“ დანართი).

ფინანსური მართვა

2. ფინანსური გრაფიკი

- 2.1 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი არის 11,995.20 EUR. ხელმოწერილი ხელშეკრულების მიღების შემდეგ, NHC ავანსად გადაიხდის თანხას, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის 50%-ს შეადგენს.

2.2 The second instalment, which constitutes 40% of the total budget, shall be disbursed to the Partner following the receipt and approval by the NHC of the midterm narrative and financial reports, in accordance with the timeline outlined in Article 8 of this contract.

2.3 The final instalment will be disbursed to the partner after successful completion of the project, upon receipt and approval by the NHC of the Partner's final narrative and financial reports. The Partner is required to submit a formal request to the NHC for transfer of the final instalment.

2.4 The final instalment can amount to maximum 10% of the total project budget. The amount of the final instalment will be determined by the NHC on the basis of the difference between planned costs and realised activities (balance) reflected in the liquidity schedule provided in the final financial report.

3. Currencies and exchange rate differences

3.1 Unless otherwise agreed in the Partner Contract, the Partner is responsible for its own currency management, which means that the risks of working with several donors with contracts in different currencies in relation to the local currency must be minimized. Gains or losses resulting from currency variations must be visible in the financial report. Exchange rate gains will have to be used for activities falling under the NHC project.

3.2 The currency used in the financial report must be the same as that used in the approved budget (see the Annexes).

3.3 The used exchange rate in the financial report should be the weighted average of actual exchange rates applied by the bank at the dates of exchanging the Commissioner's contribution into the local currency or any reasonable estimate of that average.

3.4 The contractor is responsible to attach to the financial report the official proof of exchanging the Commissioner's contribution into the local currency.

2.2 მეორე ტრანში, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს შეადგენს, „პარტნიორზე“ მას შემდეგ გაიცემა, რაც NHC შუალედურ თხრობით და ფინანსურ ანგარიშებს მიიღებს და დამტკიცებს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლში გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

2.3 ბოლო ტრანში „პარტნიორზე“ პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა, NHC-ის მიერ „პარტნიორის“ საბოლოო თხრობითი და ფინანსური ანგარიშების მიღების და დამტკიცების საფუძველზე. „პარტნიორი“ ვალდებულია, რომ NHC-ს ოფიციალური მოთხოვნა წარუდგინოს საბოლოო ბოლო ტრანშის გადარიცხვის თაობაზე.

2.4 ბოლო ტრანშმა შეიძლება პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მაქსიმუმ 10% შეადგინოს. ბოლო ტრანშის ოდენობას NHC განსაზღვრავს, დაგეგმილ ხარჯებსა და განხორციელებულ საქმიანობას შორის სხვაობის საფუძველზე (ბალანსი), რომელიც საბოლოო ფინანსურ ანგარიშში მოცემულ ლიკვიდურობის გრაფიკში იქნება ასახული.

3. ვალუტები და გაცვლითი კურსის სხვაობები

3.1 თუ „პარტნიორის ხელშეკრულებაში“ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, „პარტნიორი“ თავად არის ვალდებული საკუთარი ვალუტის მართვაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი რამდენიმე დონორთან სხვადასხვა ვალუტაში გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე მუშაობის რისკი ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებით. სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფინანსურ ანგარიშში უნდა აისახოს. სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული მოგება NHC-ის პროექტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის უნდა იქნას გამოყენებული.

3.2 ფინანსური ანგარიში იმავე ვალუტაში უნდა მომზადდეს, რომელიც დამტკიცებულ ბიუჯეტშია გამოყენებული (იხ. დანართები).

3.3 ფინანსურ ანგარიშში ასახული გაცვლითი კურსი უნდა იყოს ბანკის მიერ იმ თარიღებში გამოყენებული ფაქტობრივი გაცვლითი კურსების შეწონილი საშუალო, როდესაც NHC-სგან მიღებული ტრანშის კონვერტაცია ხდებოდა ადგილობრივ ვალუტაში, ან ამ საშუალოს ნებისმიერი, გონივრულ ფარგლებში მიახლოებული ოდენობა.

3.4 კონტრაქტორი ვალდებულია, რომ ფინანსურ ანგარიშს თან დაურთოს NHC-სგან მიღებული ტრანშის ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაციის

3.5 In case the determination of the exchange rate is not possible, expenditures incurred in other currencies shall be converted into the currency of this Agreement according to the European Commission's official monthly accounting rates for the euro as published on the [InforEuro](#) website.

4. Budget

4.1 The Partner is not allowed to make any adjustments within the Budget except of the adjustments between the individual budget-lines within each main budget category. Such allowed adjustments shall not exceed 20% of original amount of any of modified budget-lines. Irrespective of the previous two sentences administrative/indirect costs may not be changed.

4.2 The Partner shall obtain a written approval from the NHC prior to making any expenditure exceeding the flexibility mentioned in the preceding Sub-Paragraph of this Article.

4.3 The information regarding the budget changes should be provided in a narrative report. This means that the Partner should present the changes in a written account, providing context and explanations for each change.

4.4 The funds received from the NHC that have not been spent by the Partner within the contract period can neither be used for activities as originally planned, nor for other activities.

4.5 Funds that are not spent within the contract period will be subtracted from the final instalment that is paid by the NHC to the Partner. If the funds that are not spent by the end of the contract period exceed 10% of the total budget of the project, the difference must be returned to the NHC's following bank account:

Account holder: Stichting Nederlands Helsinki Comité
Bank name and address: ING, Amsterdam, The Netherlands
Account Number: 417808

ოფიციალური მტკიცებულება.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი კურსის დადგენა შეუძლებელია, სხვა ვალუტებში გაწეული ხარჯები კონვერტირებული უნდა იქნას წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალუტაში, ევროს მიმართ დადგენილი ევროკომისიის ოფიციალური ყოველთვიური სააღრიცხვო კურსების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე [InforEuro](#).

4. ბიუჯეტი

4.1 „პარტნიორს“ არ აქვს უფლება, რომ რაიმე კორექტირება შეიტანოს ბიუჯეტში, ინდივიდუალურ საბიუჯეტო მუხლებს შორის კორექტირების გარდა, თითოეულ ძირითად საბიუჯეტო კატეგორიაში. ასეთი ნებადართული შესწორებები ნებისმიერ მოდიფიცირებულ საბიუჯეტო მუხლში მითითებული თავდაპირველი თანხის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამ წინა ორი წინადადების მიუხედავად, ადმინისტრაციული/არაპირდაპირი ხარჯების შეცვლა არ შეიძლება.

4.2 „პარტნიორმა“ NHC-სგან წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს მანამდე, ვიდრე გაწევდეს რაიმე ისეთ ხარჯს, რომელიც წინამდებარე მუხლის წინა ქვეპუნქტში მოხსენიებულ, დასაშვებ ცვალებად ოდენობას აღემატება.

4.3 ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია თხრობით ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ „პარტნიორმა“ წერილობით ანგარიშში ცვლილებები უნდა ასახოს, ასევე კონტექსტი და განმარტებებიც თან წარმოადგინოს თითოეული ცვლილების მიმართ.

4.4 NHC-დან მიღებული თანხები, რომლებიც „პარტნიორს“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ აუთვისებია, არც თავდაპირველად დაგეგმილი და არც სხვა აქტივობებისთვის აღარ შეიძლება იქნას გამოყენებული.

4.5 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აუთვისებელი თანხები NHC-ის მიერ „პარტნიორისთვის“ გადახდილ საბოლოო ტრანშს გამოკლდება. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე აუთვისებელი თანხები პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 10%-ს აღემატება, სხვაობა NHC-ის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა დაბრუნდეს:

ანგარიშის მფლობელი: Stichting Nederlands Helsinki Comité
ბანკის სახელი და მისამართი: ING, Amsterdam, The Netherlands
ანგარიშის ნომერი: 417808

BIC (Swift): INGBNL2A
IBAN: NL48 INGB 0000 417808

BIC (Swift): INGBNL2A
IBAN: NL48 INGB 0000 417808

5. Investigation or additional audit

- 5.1 By signing this contract, the Partner agrees to fully cooperate in case the NHC deems it necessary to execute an investigation or additional audit. Such an investigation/audit will not start before the Partner has been informed in writing of the intention and goals.
- 5.2 An investigation or additional audit will be conducted by a third party.
- 5.3 If an investigation or additional audit has been executed, the Partner will be entitled to comment on the findings within a period of 30 days, before the findings are taken up in a final report, which in turn will also be shared with the Partner.
- 5.4 The NHC will bear the costs of the investigation or additional audit if the audit or investigation is demanded by the NHC.
- 5.5 It is the responsibility of the Partner to ensure that there is no overlap in funding of staff and other costs related to the project including running costs, procured items, etc. from the same or other donors. If overlap in funding occurred all project costs will be ineligible.

Reporting

6. Narrative and financial reports

The NHC requires midterm and final reports for the activities it funds, as specified in the contract. The reports should consist of a narrative and a financial part (see the Annexes C and B) which are structured in a comparable way (following the same structure and numbering), which are mutually supportive and relate to the same time period.

5. შემოწმება ან დამატებითი აუდიტი

- 5.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „პარტნიორი“ თანახმაა სრულად ითანამშრომლოს, თუ NHC საჭიროდ ჩათვლის შემოწმების ან დამატებითი აუდიტის ჩატარებას. ამგვარი შემოწმება/აუდიტი არ დაიწყება მანამ, სანამ „პარტნიორი“ წერილობით არ იქნება ინფორმირებული ამგვარი ქმედების დანიშნულების და მიზნების შესახებ.
- 5.2 შემოწმებას ან დამატებით აუდიტს მესამე მხარე შეასრულებს.
- 5.3 შემოწმების ან დამატებითი აუდიტის შესრულების შემთხვევაში, „პარტნიორს“ უფლება ექნება, რომ დასკვნებზე თავისი კომენტარი გააკეთოს 30 დღის განმავლობაში მანამდე, ვიდრე ეს დასკვნები საბოლოო ანგარიშში აისახება, რაც, თავის მხრივ, ასევე გაზიარებული იქნება „პარტნიორთან“.
- 5.4 შემოწმების ან დამატებითი აუდიტის ხარჯებს NHC გაიღებს, თუ აუდიტი ან შემოწმება NHC-ის მიერ იქნება მოთხოვნილი.
- 5.5 „პარტნიორი“ ვალდებული იქნება უზრუნველყოს, რომ პერსონალის დაფინანსებისთვის, ასევე პროექტთან დაკავშირებული სხვა ხარჯების, მათ შორის, მიმდინარე და შესყიდვებისთვის გაწეული ხარჯებისთვის განკუთვნილი თანხების გადაფარვა არ მოხდება იმავე ან სხვა დონორებისგან მიღებული თანხებით. თუ თანხების გადაფარვას ექნება ადგილი, პროექტისთვის გაწეული ყველა ხარჯი დაუშვებლად იქნება მიჩნეული.

ანგარიშების წარდგენა

6. თხრობითი და ფინანსური ანგარიშები

NHC შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს მოითხოვს მის მიერ დაფინანსებული საქმიანობის განხორციელების შესახებ, როგორც ეს ხელშეკრულებაშია მითითებული. ანგარიშები თხრობითი და ფინანსური ნაწილისგან უნდა შედგებოდეს (იხილეთ დანართები „გ“ და „ბ“), შესაძარბელები სტრუქტურით (იმავე სტრუქტურის და ნუმერაციის მიხედვით), რომლებიც ერთმანეთის შემავსებელია და ერთსა და იმავე პერიოდს შეეხება.

7. Focus and scope of financial reports

7.1 Financial reports shall focus on comparing actual expenditure to the agreed budget, including the total received funds from the NHC. Any differences should be explained in a financial report.

7.2 The financial report (see in Annex B) shall include:

- i. A detailed breakdown of income and expenses relating to the project in the local currency and in euros
- ii. An explanation of significant differences between actual and budgeted income and expenditure;
- iii. A specification of the fund balance, demonstrating the balance of remaining NHC funds;
- iv. The NHC operates on the principle of prohibition of double funding: the burden of proof is upon the Partner to demonstrate to the NHC that calculations of salary contributions and/ or project expenses exclude the possibility that the same practice is covered through different funding sources. This will be either by a (separate) audit or by sending the complete information about similar activities funded through other means and share the contact details of the related institutions.
- v. Supporting documents corresponding to the list of expenses that justify expenditures that are provided in the financial report.

7.3 All documents related to the Project need to be archived for 7 years after the final payment of the NHC to Partner and have to be sent to the NHC on request if needed for auditing purposes.

8. Reporting schedule

8.1 The Partner shall present the following reports to the NHC, according to the following schedule:

7. ფინანსური ანგარიშების მასშტაბი და მოცულობა

7.1 ფინანსური ანგარიშების მიზანი უნდა იყოს ფაქტობრივი ხარჯების შედარება შეთანხმებულ ბიუჯეტთან, NHC-დან მიღებული მთლიანი თანხების ჩათვლით. ნებისმიერი სხვაობა ახსნილი უნდა იყოს ფინანსურ ანგარიშში.

7.2 ფინანსურ ანგარიშში (იხ. „ბ“ დანართი) შემდეგი ინფორმაცია უნდა იყოს მოცემული:

- i. პროექტთან დაკავშირებული შემოსავლების და ხარჯების დეტალურად ჩამოთვლილი აღწერა ადგილობრივ ვალუტასა და ევროში.
- ii. ფაქტობრივ და ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავალსა და ხარჯებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობების ახსნა;
- iii. თანხების ნაშთის სპეციფიკაცია, რომელიც NHC-ის დარჩენილი თანხების ბალანსს აჩვენებს;
- iv. NHC ორმაგი დაფინანსების აკრძალვის პრინციპით მოქმედებს: მტკიცების ტვირთი „პარტნიორს“ ეკისრება, რომელმაც NHC-ს უნდა აჩვენოს, რომ სახელფასო შენატანების ან/და პროექტის ხარჯების გაანგარიშებისას გამორიცხულია ამავე აქტივობების სხვადასხვა დაფინანსების წყაროებიდან დაფარვის შესაძლებლობა. ამისთვის საჭირო იქნება ან (ცალკე) აუდიტი, ან სრული ინფორმაციის გაგზავნა მსგავსი აქტივობების შესახებ, რომლებიც სხვა საშუალებებით არის დაფინანსებული და ამასთან დაკავშირებული დაწესებულებების საკონტაქტო დეტალების გაზიარება.
- v. ხარჯების ჩამონათვალის შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია, რომლებიც ფინანსურ ანგარიშში მოცემულ დანახარჯებს დაასაბუთებს.

7.3 პროექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი არქივში უნდა ინახებოდეს 7 წლის ვადით მას შემდეგ, რაც NHC „პარტნიორს“ თანხის ბოლო ნაწილს გადაუხდის. აღნიშნული დოკუმენტაცია NHC-ს უნდა გაეგზავნოს მოთხოვნის საფუძველზე, თუ ეს საჭირო გახდება აუდიტის მიზნებისთვის.

8. ანგარიშების წარდგენის გრაფიკი

8.1 პარტნიორმა NHC-ს შემდეგი ანგარიშები უნდა წარუდგინოს ქვემოთ მოცემული გრაფიკის

Type of report	Reporting Period	Report to be submitted to the NHC before
Midterm report	01.03.2024–16.05.2024	30.05.2024
Final report	17.05.2024–31.07.2024	14.08.2024

8.2 The NHC reserves the right to evaluate the project at any given moment.

9. Feedback from the NHC on reporting

9.1 After receiving reports from the Partner within the agreed period of time, the NHC will provide the Partner with written feedback.

9.2 After receiving the final financial report, the NHC will provide a balance confirmation to the Partner.

10. Documents

The following documents are annexed to this contract and form an integral part of the contract.

- A. Terms of Reference (project proposal)
- B. Budget and financial reporting form (including: Fund request form; Liquidity schedule)
- C. Narrative report form
- D. Partner Bank details
- E. Partner-self assessment form
- F. [General Terms and Conditions](#)
- G. [Code of conduct](#)
- H. NHC Malpractice policy

Project period

The agreement takes effect on **01.03.2024** and has been entered into for a definite period of time, namely until **31.07.2024**. If the NHC approves the final narrative and financial reports, the project for the Partner has been completed and will therefore end.

მიხედვით:

ანგარიშის ტიპი	ანგარიშგების პერიოდი	NHC-ისთვის ანგარიშის წარდგენის ვადა
შუალედური ანგარიში	01.03.2024–16.05.2024	30.05.2024
საბოლოო ანგარიში	17.05.2024–31.07.2024	14.08.2024

8.2 NHC უფლებას იტოვებს, რომ პროექტის შეფასება ნებისმიერ მომენტში განახორციელოს.

9. NHC-ის უკუკავშირი ანგარიშებთან დაკავშირებით

9.1 შეთანხმებულ ვადაში „პარტნიორისგან“ ანგარიშების მიღების შემდეგ, NHC „პარტნიორს“ წერილობით უკუკავშირს მიაწვდის.

9.2 საბოლოო ფინანსური ანგარიშის მიღების შემდეგ, NHC „პარტნიორს“ ბალანსის დადასტურების საბუთს გაუგზავნის.

10. დოკუმენტები

წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი დოკუმენტები ერთვის თან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

- „ა“ ტექნიკური დავალება (საპროექტო წინადადება)
- „ბ“ ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგების ფორმა (მათ შორის: თანხის მოთხოვნის ფორმა; ლიკვიდურობის გრაფიკი)
- „გ“ თხრობითი ანგარიშის ფორმა
- „დ“ პარტნიორის საბანკო რეკვიზიტები
- „ე“ პარტნიორის თვითშეფასების ფორმა
- „ვ“ [ზოგადი პირობები](#)
- „ზ“ [ქცევის კოდექსი](#)
- „თ“ NHC-ის პოლიტიკა კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით

პროექტის განხორციელების პერიოდი

შეთანხმება ძალაში შედის **01.03.2024** და დადებულია განსაზღვრული ვადით, კერძოდ, **31.07.2024**-მდე. თუ NHC საბოლოო თხრობით და ფინანსურ ანგარიშებს დაამტკიცებს, პროექტი „პარტნიორისთვის“ დასრულებული იქნება და, შესაბამისად, დაიხურება.

Deviations from the General Contract Terms and Conditions

Not applicable to this contract

ხელშეკრულების ზოგადი პირობებიდან გადახვევა

არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებას

Signatures

This Partner Contract commits both Parties to full compliance with both the terms and conditions stated in this contract and those stipulated in the General Contract Terms and Conditions in the Annexes.

This contract is drafted in two languages, English and Georgian, both of which shall be equally authentic and valid. In the event of any discrepancy or inconsistency between the two language versions, the parties agree that the version in English language shall prevail.

Signed on behalf of the NHC:

Name: Joeri Buhner Tavanier
Position held: Acting Executive Director
Date and place: the Hague, 29.02.2024

ხელმოწერები

წინამდებარე „პარტნიორის ხელშეკრულება“ ორივე მხარეს ავალდებულებს, რომ სრულად დაიცვან როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, ასევე „ხელშეკრულების ზოგადი პირობები“, როგორც ეს დანართებშია მითითებული.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ. მხარეები თანხმდებიან, რომ ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის რაიმე შეუსაბამობის ან შეუთავსებლობის შემთხვევაში უპირატესობა ინგლისურენოვან ვერსიას მიენიჭება.

ხელმოწერილია NHC-ის სახელით:

სახელი და გვარი: იური ბურერ ტავანიერი
თანამდებობა: მოქმედი დირექტორი
თარიღი და ადგილი: ჰააგა, 29.02.2024

Signed on behalf of IDFI:

Name: Giorgi Kldiashvili
Position held: Executive Director
Date and place: Tbilisi, 29.02.2024

ხელმოწერილია IDFI სახელით:

სახელი და გვარი: გიორგი კლდიაშვილი
თანამდებობა: დირექტორი
თარიღი და ადგილი: თბილისი, 29.02.2024

